

# გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 2023

## გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N26 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ფარგლებში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა - გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, მათ შორის, ხე-ტყის კონტროლის გაძლიერება ხე-ტყის უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა, აღკვეთა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიებით, გზშ-ის სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

ასოცირების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოებასთან ერთად, დეპარტამენტის დეპარტამენტის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა:

- საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების კონტროლი;
- პლასტიკის პარკების, ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოებისას ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი;
- მაცივარაგენტზე მომუშავე სტაციონარული მოწყობილობის მფლობელის, ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბური ტუმბოების მომსახურე პირების მიერ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი.


გააქტიურდა საქმიანობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების კონტროლის მიმართულებით - სამრეწველო სექტორიდან გარემოს დაბინძურების პრევენციისა და შემცირების მიზნით, ხოლო 2023 წლიდან დეპარტამენტის ფუნქციებს დაემატა - ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის კონტროლის განხორციელება.

## ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგები


2023 წელს ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის **12 772** ფაქტი. მათ შორის:

- **12 237** ფაქტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, რომლებზეც შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმები და გადაიგზავნა შესაბამის სასამართლოებში განსახილველად;
- **535** სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტი, რომლებიც გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის.

### სამართალდარღვევათა დინამიკა, 2021-2023



### სამართალდარღვევათა სტრუქტურა, 2023



**სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე ფაქტების სტრუქტურა, 2023**

• უკანონო თევზჭერა	192
• ხე-ტყის უკანონო მოპოვება	153
• წიაღის უკანონო მოპოვება	82
• უკანონო სახერხი საამქროს ფუნქციონირება	75
• წყლის ობიექტის დაბინძურება	12
• მიწის დაბინძურება	7
• უკანონო ნადირობა	5
• ლიცენზიის პირობების დარღვევა	3
• ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირება	2
• უნებართვო საქმიანობა	1
• დოკუმენტების გაყალბება, ნივთმტკიცების განადგურება, სახელმწიფო ქონების დაზიანება	3
<b>სულ, 535 საქმე</b>	

**ჯარიმა და გარემოსთვის მიყენებული ზიანი**

2023 წელს, მიმდინარე მონაცემებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმის თანხამ **4 572 791** ლარი შეადგინა.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა **4 529 874** ლარი.

**ჯარიმა და გარემოსთვის მიყენებული ზიანი, 2021-2023**

წ.წ.	ჯარიმა, ლ	ზიანი, ლ
2021 წ.	2 738 780	7 948 897
2022 წ.	6 098 000	12 059 788
2023 წ.	4 572 791	4 529 874

**რეგულირების ობიექტების ინსპექტირება**

2023 წელს რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) **5466** ინსპექტირება განხორციელდა, მათ შორის, - **446** რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის **გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება:**

- **121** - გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული ობიექტი;
- **3** - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია/ტყის ფონდის ფართობები (შერჩევით);
- **13** - სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზია;

- **7** - სამონადირეო მეურნეობის, თევზჭერის სპეციალური ლიცენზია;
- **20** - გმო სახეობების იდენტიფიცირების მიზნით სასოფლო-სამეურნეო ნათესებიდან ნიმუშების აღება/შემოწმება;
- **282** - საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების ინსპექტირება.

2023 წელს **284** რეგულირების ობიექტს წარედგინა ადმინისტრაციული მიწერილობები - მათი საქმიანობის ინსპექტირების ან ანგარიშგების და სხვა პროცესში გამოვლენილი დარღვევების გონივრულ ვადაში აღმოსაფხვრელად სავალდებულო ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავი შეკავების მიზნით. მათ შორის, **24** რეგულირების ობიექტს - საქმიანობის შეზღუდვის (სრული ან ნაწილობრივი) მოთხოვნით დარღვევის სრულ აღმოფხვრამდე.

## პრევენციული ღონისძიებები

### გენმოდირებული ორგანიზმების კონტროლი

2023 წელს ცოცხალი გენმოდირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განხორციელდა **20** შემოწმება, ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებში დათესილი ან/და სასაწყობო მეურნეობებში ნიმუშების აღებისა და მათში ცოცხალი გენმოდირებული ორგანიზმების სახეობების იდენტიფიცირების მიზნით.

- ლაბორატორიული კვლევის შედეგების შესაბამისად, გარემოში გენმოდირებული ცოცხალი ორგანიზმის ინტროდუქციის ფაქტი 19 შემთხვევაში არ გამოვლინდა.

### საწვავის ხარისხის კონტროლი

2023 წელს საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში შერჩევითი წესით განხორციელდა ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯების აღებისა და ლაბორატორიული კვლევის პროცედურები **112** ობიექტიდან, მათ შორის:

- **12** ნავთობსაცავიდან - დიზელის 12 სინჯი;
- **100** ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარებიდან - 80 დიზელის, 20 ბენზინის სინჯი;

კვლევის შედეგად **28** სინჯში საწვავის ხარისხი არ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

### მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების კონტროლი

2023 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა პრევენციული ღონისძიებები არარეგისტრირებული სახერხი საამქროების ფუნქციონირების, ასევე უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის გადამამუშავების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით:

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი **795** საამქრო. ამავე პერიოდში გამოვლინდა **75** არარეგისტრირებული, უკანონო სახერხი საამქრო.

### შავი ზღვის დაბინძურების კონტროლი

შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს მიერ MARPOL 73-78 კონვენციის შესაბამისად:

- განხორციელდა საქართველოს ნავსადგურებში შემოსული **282** გემის ინსპექტირება გარემოსდაცვითი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

გამოვლინდა გემებიდან ზღვის დაბინძურების **16** შემთხვევა. პასუხისმგებელი პირები დაჯარიმდნენ - თითოეული 65 000 ლარით. გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა საერთო ოდენობამ შეადგინა 36 008 ლარი. დაწესებულია კონტროლი ზღვის დაბინძურების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებაზე.

### გაფრქვევების უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების კონტროლი

დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2023 წელს დეპარტამენტის მიერ **15** საწარმოს მიმართ (მათგან 5 - განმეორებით) შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში მიმდინარემდგომარეობით რეგისტრირებულია **30** კომპანია.


### ცხელი ხაზი

2023 წელს „ცხელ ხაზზე - 153“ მიღებულია **3042** შეტყობინება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, რაზედაც დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რეაგირება და გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

### ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი

2023 წლის 4 სექტემბრიდან ქვეყნის 4 ქალაქში - **თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი** - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მიმდინარეობდა ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი, 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოვლინდა ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობის **2 983** შემთხვევა, სამართალდამრღვევებზე გამოიწერა ელექტრონული საჯარიმო ქვითრები გაუმართავი სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის ან სხვა პირისთვის სამართავად გადაცემისთვის.

**დარღვევების გამოვლენა ქალაქების მიხედვით:**



## კონტროლის ელექტრონული მექანიზმების განვითარება

დეპარტამენტში სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფისა და მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტში მოქმედებს მერქნული რესურსების მართვის, სახერხი საამქროების მართვის, შავ ზღვაში თევზჭერის ელექტრონული სისტემები, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემა.

2023 წელს შემუშავდა და დაინერგა ელექტრონული სისტემები:

- **მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემა** - შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი - ახალი ვალდებულებები, მათ შორის ქაღალდის ჟურნალების ნაცვლად ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციების ასახვის ვალდებულება - 3 კგ და მეტ მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობის მფლობელებისთვის; ამ მოწყობილობების მომსახურე ორგანიზაციებსა და ინდემწარმეებისთვის; ექსპორტ/იმპორტიორებისა და რეალიზატორებისთვის, რეციკლირების ორგანიზაციებისთვის.
  - სისტემა უზრუნველყოფს საქართველოში „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის ოქმით გათვალისწინებულ ნივთიერებათა კონტროლის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
- **სატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის კონტროლის ელექტრონული სისტემა** - შემუშავდა და 2023 წლის 4 სექტემბრიდან ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების კონტროლის ელექტრონული სისტემა - carmonitoring; საჯარიმო ქვითრების გადახდების კონტროლის ელექტრონული სისტემა - protocol-des. -
  - ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი მიმდინარეობს ქ.ქ. თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში და გამონაბოლქვის გაზომვის შედეგები ავტომატურად აისახება ელექტრონულ სისტემაში.
- **მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემისა და ზედნადების ელექტრონული სისტემის ჰარმონიზაცია** - შემუშავდა და 2023 წლის 15 ივნისიდან დაინერგა „ხე-ტყის ელექტრონული ჟურნალი“ შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში მეწარმეებისთვის.
  - სისტემა უზრუნველყოფს გასხვისებული ხე-ტყის მოცულობის განაშთვას; შეიზღუდა ერთი კანონიერი დოკუმენტით უკანონო ხე-ტყის მრავალჯერადი გასხვისება; სრულად გამოირიცხა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტში, სახერხის საამქროდან პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის ცნობაში ასახული მონაცემების ზედნადებში გაყალბების რისკი; გაუმჯობესდა ხე-ტყის/პროდუქტის მიკვლევალობა.